პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი აგრონEWS. ISSN 2346-8467
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL AGRONEWS. №12. 2025
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ АГРОNEWS. Roza.lortkipanidze@atsu.edu.ge

ბადრიჯნის მოყვანა ვედროში

DOI: https://doi.org/10.52340/agronews.2025.12.06

მაკა ყუბანეიშვილი
სმმკ, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
ნატალია სანთელაძე
აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

სტატიაში განხილულია ბადრიჯნის კულტურის მოყვანა ვედროებში, რაც საშუალებას იძლევა მცირე ნაკვეთი ან აივანიც კი ნაყოფიერ ოაზისად ვაქციოთ. აღებული იყო 2 ჯიში: ჯიში „ვიოლეტ ლუნგა“და „ვიკარი“. დარგვა ვაწარმოეთ პირველ წელს 25 აპრილს, ხოლო მეორე წელს 4 მაისს 10-15 ლიტრიანი ტევადობის ვედროები. პირველი ორი კვირის განმავლობაში ზომიერად ვრწყავდით, შემდეგ დავამონტაჟეთ წვეთოვანი სარწყავი სისტემა, რომლის მეშვეობითაც წყალი პირდაპირ ფესვებს მიეწოდებოდა. ვუზრუნველყოფდით ოპტიმალური ტემპერატურის პირობებს 25-30°C დღე-ღამის განმავლობაში. ყოველ 10 დღეში ერთხელ წყალში ვამატებდით ნაცრის ნაყენს და კალიუმის სულფატს, ასევე 2-3 ჯერ ვკვებავდით ქათმის წუნწუხით.
ნიადაგის გაფხვიერებას ვაწარმოებდით 5-6 სმ-ის სიღრმეზე. ვსხლავდით ყოველ მე-10 დღეს. მოსავალი „ვიოლეტ ლუნგა“-მ საშუალოდ 4-5კგ, ხოლო „ვიკარ“- მა 5-6 კგ. მოგვცა ვედროზე. ცდებმა გვიჩვენა, რომ ბადრიჯნის კულტურის ჯიშების „ვიოლეტ ლუნგა“და „ვიკარი“-ს. მოყვანა ვედროში საკმაოდ ეფექტურია და იმ ადამიანებს, ვისაც აქვს სურვილი ამ კულტურის მოყვანის თავისუფლად შეუძლია ეს გააკეთოს მცირე ნაკვეთზე ან აივანზე.

საკვანძო სიტყვები: ბადრიჯანი, ვედრო, აივანი, „ვიოლეტ ლუნგა“, „ვიკარი“

ძალიან ბევრ ადამიანს, რომელთაც არ აქვსთ საშუალება ბოსტნეული კულტურები მოიყვანონ ღია გრუნტში დიდ ტერიტორიაზე, მაგრამ უნდათ საკუთარი ბადრიჯნის მოყვანა, შეუძლიათ ის გამოზარდონ ვიწრო სივრცეში ან აივნებზეც კი თუმცა, ამ მეთოდს აქვს თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები, რომელთა გათვალისწინება ძალზედ მნიშვნელოვანია.

უპირატესობა მისი დაბალი ღირებულება და ბოსტნეულის წარმოებისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნის შესაძლებლობაა. პატარა, თბილი კონტეინერი მოსავლის თითქმის მთელი წლის განმავლობაში მიღების საშუალებას იძლევა.

ვედროების სათბურში განთავსებისას, ვედროები ოდნავ უნდა იყოს იარუსებად დაალაგებული და აწეული მიწიდან მაღლა. ამ გზით, თბილი ნიადაგი უზრუნველყოფს ადრეულ მოსავალს, ხოლო კომპაქტური განლაგება მნიშვნელოვნად დაზოგავს ადგილს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა დიზაინის პორტაბელურობაა. საჭიროების შემთხვევაში, შეგვიძლია მარტივად გადავიტანოთ ვედროები ახალ ადგილას. გარდა ამისა, გაცილებით ადვილია პატარა ნარგავების მოვლა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ის მიიღებს საჭირო რაოდენობის ნიადაგს, ტენიანობას და საკვებ ნივთიერებებს.

მთავარი პრობლემა ნიადაგის საკმარისი ტენიანობის ნაკლებობაა. ამიტომ, ნერგები ყოველდღიურად უნდა მოირწყას. თუ მორწყვას გამოვტოვებთ, ნიადაგი შეიძლება გამოშრეს და მცენარეები დაზიანდეს. ამ სიტუაციაში შეგვიძლია გამოვიყენოთ ნიადაგში შერეული სპეციალური ჰიდროგელი. ის აგროვებს ტენიანობას და საჭიროების შემთხვევაში თანდათანობით გამოყოფს მას ფესვთა სისტემაში.

ვედროებში ბადრიჯნის მოყვანა საშუალებას გვაძლევს, პატარა ნაკვეთი ან აივანიც კი ნაყოფიერ ოაზისად ვაქციოთ.

იდეალური კონტეინერებია პლასტმასის ან ლითონის ვედროები 10-15-30 ლიტრი ტევადობით. ლითონი უფრო გამძლეა, მაგრამ უფრო ცხელდება, რამაც შეიძლება გაზარდოს ნიადაგის სიმშრალე. პლასტმასის კონტეინერებს უნდა ჰქონდეს სქელი კედლები - მათ შეუძლიათ როგორც სიცხის, ასევე სიცივის ატანა.

ზედმეტი ტენიანობის მოსაშორებლად, ვედროში უნდა გავაკეთეთ თანაბარი ზომის სადრენაჟო ხვრელები (1 სმ დმ). ნახვრეტების გაბურღვა შესაძლებელია როგორც ძირში, ასევე გვერდის ქვედა კიდის გასწვრივ. ზედმეტი ტენიანობის შეუფერხებელი დრენაჟის უზრუნველსაყოფად, ვედროები უნდა მოთავსდეს ხის პალეტებზე ან აგურის სადგამებზე.

ჩვენ შემთხვევაში შერჩეული გვქონდა 10-15 ლიტრიანი ტევადობის ვედროები.
ძირში გავუკეთეთ 5-7 ნახვრეტი, შემდეგ კონტეინერი 3:2:1 თანაფარდობით მიწის, კომპოსტის და პერლიტის ნარევით შევავსეთ. გასაშენებლად შევარჩიეთ ადრეული ჯიში: „ვიოლეტ ლუნგა“ და „ვიკარი“.

„ვიოლეტ ლუნგა“-ბადრიჯნის პოპულარული ჯიშია. მცენარე ძლიერმზარდი, სიმაღლე აღწევს 80-90 სმ.,კარგად ადაპტირებადია ნებისმიერ კლიმატსა და ნიადაგში, ნაყოფი საუკეთესო ხარისხის, მუქი შავი ფერის(იისფერი ელფერით), ერთგვაროვანი, სიგრძით 21-22 სმ., სიგანით 6-7 სმ., გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობითა და მიმზიდველი საბაზრო შესახედაობით.

„ვიკარი“-ადრეული სიმწიფის ჯიშია. მცენარე ნახევრად გაშლილი და კომპაქტური. ნაყოფი მსხლის ფორმისაა, ტექნიკური სიმწიფის დროს ღია იისფერი, 16-20 სმ სიგრძის, მომრგვალებული ზემოდან. რბილობი მკვრივი და ღია მწვანეა. ჯიშის ღირებულება მოიცავს ადრეულ სიმწიფეს და დაავადებებისადმი მდგრადობას. ეს ჯიში გამოირჩევა მაღალი ნაყოფიერებით და მუდმივი მოსავლით. კარგად ეგუება ტემპერატურისა და ტენიანობის უეცარ ცვლილებებს.

ნერგები პირველ წელს 25 აპრილს, ხოლო მეორე წელს 4 მაისს დავრგეთ, მათი პირველი ნამდვილ ფოთლების გამოტანისთანავე.

პირველი ორი კვირის განმავლობაში ზომიერად ვრწყავდით, შემდეგ დავამონტაჟეთ წვეთოვანი სარწყავი სისტემა (პლასტმასის ბოთლს მოვჭერით ქვედა ნაწილი, ჩავაფლეთ ყელით ვედროში) რომლის მეშვეობითაც წყალი პირდაპირ ფესვებს მიეწოდებოდა.

ბადრიჯანი სითბოს მოყვარული მცენარეა. ამიტომ პირველ რიგში, ვუზრუნველყავით ოპტიმალური ტემპერატურის პირობები. რეკომენდებული ზრდის ტემპერატურა 25-30°C და ეს უნდა შენარჩუნდეს არა მხოლოდ დღისით, არამედ ღამითაც, რადგან ბადრიჯა-

ნი სიგრილეში გაცილებით ნელა იზრდება. ბადრიჯნისთვის ჰაერის ტენიანობა უნდა იყოს 60-70%.

ვედროებში გაშენებულ ბადრიჯანს რეგულარული განოყიერება სჭირდება. სასუქის პირველი შეტანა ხდებოდა დარგვიდან დაახლოებით 15 დღის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ სასუქი უნდა შეიცავდეს აზოტის მნიშვნელოვან პროცენტს, რაც დადებითად მოქმედებს მცენარის ზრდაზე. შემდგომ კი ყოველ 10 დღეში ერთხელ წყალში ვამატებდით ნაცრის ნაყენს (1 ჭიქა ნაცარი 3 ლ. წყალზე) და კალიუმის სულფატს (1 ჩაის კოვზი თითო ვედროზე), ასევე 2-3 ჯერ ვკვებავდით ქათმის წუნწუხით.

ვედროებში გაშენებული ბადრიჯნის მოვლის მნიშვნელოვანი ეტაპია ნიადაგის გაფხვიერება. ეს ძალიან ფრთხილად უნდა გაკეთდეს, რათა თავიდან იქნას აცილებული მცენარის ფესვთა სისტემის დაზიანება. ამიტომ, გაფხვიერებას ვაწარმოებდით 5-6 სმ-ის სიღრმეზე. ბადრიჯნის გასხვლას ვაწარმოებდიტ 10 დღეში

მოსავალი „ვიოლეტ ლუნგა“-მ საშუალოდ 4-5კგ, ხოლო „ვიკარ“- მა 5-6 კგ. მოგვცა ვედროზე.

ცდებიდან გამომდინარე შეგვიძლია ბადრიჯნის გაშენება ვედროებში მცირე ნაკვეთებზე ან აივანზეც კი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ებრალიძე, შ. ლომინაძე – მებოსტნეობა- „ ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ ბათუმი- 2016წ.
2. ნ. ჩაჩხიანი-ანასაშვილი, მ. ყუბანეიშვილი, ზ. ხიდააშელი - ბადრიჯნის გავრცელებული ჯიშები და სახეობები - ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“. 2022წ.

Growing Eggplants in a Bucket

Maka Kubaneishvili
Candidate of Agricultural Sciences, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia
Natalia Santeladze
Academic Doctor of Agricultural Sciences, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

The article discusses the cultivation of eggplant in buckets, which allows you to turn even a small plot or balcony into a fertile oasis. Two varieties were selected: the "Violet Lunga" and "Vicar" varieties. We planted them in buckets with a capacity of 10-15 liters in the first year on April 25, and in the second year on May 4. For the first two weeks, we watered moderately, then installed a drip irrigation system through which water was supplied directly to the roots. We ensured optimal temperature conditions of 25-30°C day and night. Every 10 days, we added ash powder and potassium sulfate to the water, and also fed chicken manure 2-3 times.We loosened the soil to a depth of 5-6 cm. We watered every 10 days. The harvest of "Violet Lunga" was on average 4-5 kg, and "Vicar" 5-6 kg. gave us a bucket. Experiments have shown that growing eggplant varieties "Violet Lunga" and "Vicar" in a bucket is quite effective, and those who want to grow this crop can freely do so on a small plot or on a balcony.

Keywords: Eggplant, bucket, balcony, "Violetta Lunga ", "Vicar"

Many people who do not have the opportunity to grow vegetables in open ground on a large area, but want to grow their own eggplant, can grow it in a narrow space or even on balconies. or this, we selected buckets with a capacity of 10-15 liters.

We made 5-7 holes in the bottom, then filled the container with a mixture of soil, compost and perlite in a ratio of 3:2:1

We chose early varieties for cultivation: “Violet Lunga” and “Vikari”.

“Violet Lunga” is a popular eggplant variety. The plant is vigorous, reaches a height of 80-90 cm, adapts well to any climate and soil, the fruits are of the best quality, dark black in color (with a purple tint), uniform, 21-22 cm long, 6-7 cm wide, are distinguished by high yield and attractive market appearance.

“Vikari” is an early ripening variety. The plant is compact. The fruit is pear-shaped, light purple in technical ripeness, 16-20 cm long, rounded at the top. The pulp is dense and light green. The value of the variety includes early maturity and resistance to diseases. This variety is distinguished by high productivity and constant yield. It adapts well to sudden changes in temperature and humidity.

We chose early varieties for cultivation: “Violet Lunga” and “Vikari”.

We planted the seedlings on April 25 in the first year and on May 4 in the second year, as soon as their first true leaves appeared. For the first two weeks, we watered them moderately, then installed a drip irrigation system (we cut off the bottom of a plastic bottle and immersed it in a bucket with its neck down), through which water was supplied directly to the roots.

Eggplant is a heat-loving plant. Therefore, first of all, we need to ensure optimal temperature conditions. The recommended growth temperature is 25-30°C and this should be maintained not only during the day, but also at night, because eggplant grows much more slowly in cool weather. The humidity of the air for eggplant should be 60-70%.

Eggplants grown in buckets need regular watering. The first fertilizer application was made approximately 15 days after planting. It is worth noting that the fertilizer should contain a significant percentage of nitrogen, which has a positive effect on plant growth.

Then, every 10 days, we added ash powder to the water (1 cup of ash per 3 liters of water) and potassium sulfate (1 teaspoon per bucket), and we fed with chicken droppings 2-3 times.

An important stage in the care of eggplants grown in buckets is loosening the soil. This must be done very carefully to avoid damaging the plant’s root system. Therefore, we loosened to a depth of 5-6 cm.

I pruned eggplants every 10 days.

The harvest of “Violet Lunga” was an average of 4-5 kg, and “Vicar” 5-6 kg. per bucket.

Based on our experiments, we can grow eggplants in buckets on small plots or even on the balcony.